სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №114

ქ. ბათუმი 29 აპრილი 2015 წელი

ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში ,დამკვეთი'') წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის პირველი მოადგილის მამია ბერძენიშვილის სახით და მეორეს მხრივ იური ბაბაიანი (შემდგომში „შემსრულებელი") (დაბადებული 17.10.1977 წ. ქ. ბათუმში, მცხოვრები ქ. ბათუმი, ინასარიძის ქ. №6. ბინა №18; პირადი ნომერი - №61002003981; პირადობის მოწმობა - №ბ0916417; პირადობის გაცემული 15.06.2006წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბათუმის სამსახურის მიერ) (ორივე ერთად ,,მხარეები) („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV კოდი: 63500000) ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – დამკვეთსა და შემსრულებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა - დამკვეთს, ხოლო ერთი - შემსრულებელს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს დამკვეთმა შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „დამკვეთი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. ,,შემსრულებელი" – პირი/ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას 2015 წლის 29-30 აპრილი და 01 მაისს (სულ 3 დღე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სტუმრებს სომხეთის რესპუბლიკიდან (სულ 11 პიროვნება) გაუწიოს გიდის მომსახურება შემდეგი მარშრუტებით: ტური ქალაქ ბათუმში, რეგიონის ისტორიულ კუტურული ძეგლები და ღირშესანიშნაობები, გონიოს ციხე, ბოტანიკური ბაღი, მაღალმთიანი აჭარა, ქედა.

2.2 მომსახურების ღირებულება 1 დღეზე შეადგენს 87,50 (ოთხმოცდაშვიდი ლარი და 50 ლარი) ლარი, რომელშიც შედის საშემოსავლო გადასახადი 20% - 17,50 (ჩვიდმეტი ლარი და 50 თეთრი) ლარი.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 262,50 (ორასსამოცდაორი ლარი და 50 თეთრი) ლარს, რომელშიც შედის საშემოსავლო გადასახადი 52,50 (ორმოცდათორმეტი ლარი და 50 თეთრი) ლარი.

3.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ დამკვეთის და შემსრულებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

5.2. დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირებია:

ა) ლელა დევაძე - მარკეტინგისა და რეკლამის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;

ბ) სოფიკო გოთუა - მარკეტინგისა და რეკლამის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;

გ) მიხეილ კოპლატაძე - მარკეტინგისა და რეკლამის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1. დამკვეთი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. შემსრულებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს დამკვეთს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს გაუწიოს სათანადო ხარისხის მომსახურება.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. დამკვეთი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

7.2. ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) დამკვეთის მხრიდან განახორციელებს - ლელა დევაძე, მარკეტინგისა და რეკლამის განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, დამკვეთი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2015 წლის 29 აპრილიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები:

აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	**იური ბაბაიანი**
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №84/86	მისამართი: ქ. ბათუმი, ინასარიძის ქ. №6. ბ.18.
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427809	საიდენტიფიკაციო კოდი: 61002003981
ს.ს. "თიბისი ბანკი"	*ს.ს. „საქართველოს ბანკი"*
ბანკის კოდი – TBCBGE22	*ბანკის კოდი – BAGAGE22*
№GE62 TB79 0173 60101000 15	ანგარიში №GE 54 BG 0000000827491900
თავმჯდომარის პირველი მოადგილე	**ფიზიკური პირი**
_____ /მამია ბერძენიშვილი/ ბ.ა	_____ /იური ბაბაიანი/ ბ.ა.